პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_ _

2025 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4824358104; 23/12/2024) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 25 ერთეულს(მერის მრჩეველი -1, მერის თანაშემწე -2, კონსულტანტი-4, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი -1, ფსიქოლოგი -1, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი -1, დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში-1, მერის მდივანი-1, მერის მძღოლი-1, მძროლი-1, დამლაგებელი-5, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის კოორდინატორი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის კოორდინატორის ასისტენტი-1. შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ფინანსური მენეჯერი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის პიარ მენეჯერი-1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ტექნიკური მენეჯერი -1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი-1. ყველა მათგანთან მერს სურს ხელშეკრულების გაფორმება, რაც სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებს 20 ერთეულით. ამასთან აღსანიშნავია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რაოდენობა შეადგენს 10 ერთეულს: საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე–2, მძღოლი–2, დამლაგებელი–2, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი – 1, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი –1, კომისიებში მოწვეული სპეციალისტი - 2, რაც ხუთი ერთეულით სცილდება კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს. შესაბამისად, აუცილებელია დასაქმებულ (დასასაქმებელ) პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული გამონაკლისის დაშვება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 და მე–4 პუნქტების, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25–ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებულ იქნეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 2 დამლაგებლის, 2 კომისიებში მოწვეული სპეციალისტისა და 1 საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწის, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში – 5 დამლაგებლის, 1 კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტის, 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, 1 ფსიქოლოგის, 4 კონსულტანტის, 1 მერის მდივნის, 1 დამხმარე სპეციალისტის მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა

და რუმინეთის შრომის, განვითარებისა და ადმინისტრირების სამინისტროს შორის ხელმოწერილი კონტრაქტის ფარგლებში 1 კოორდინატორის, 1 კოორდინატორის ასისტენტის, 1 ფინანსური მენეჯერის, 1 პიარ მენეჯერის, 1 ტექნიკური მენეჯერის და 1 ტექნიკური მენეჯერის ასისტენტის ერთი წლის ვადით მიღების (ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების) შესახებ.

2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის შეთანხმების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 23 დეკემბრის N159 (გ-49.49233612) განკარგულება.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:
აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:
განყოფილების უფროსი — მაია ბერაძე

კომისიის თავმჯდომარე — მაკა ჭელიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4824358104**
თარიღი: **23/12/2024**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29 -ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულებაში „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს. აღნიშნული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების წესი, აგრეთვე საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით მიღებულ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისი მუნიციპალიტეტების შემთხვევაში, განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით. არამუდმივი ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობა საჭიროებს საკრებულოსთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში, თუ საჯარო დაწესებულებაში 30 დღეზე მეტი ვადით გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რაოდენობა აღემატება შტატით გათვალისწინებულ ფაქტიურად დასაქმებულთა რიცხოვნობის 1%-ს, ხოლო იმ ორგანიზაციებში სადაც საშტატო რიცხოვნობის 1% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, შეთანხმებას საჭიროებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რიცხოვნობა, რომელიც 5 ერთეულზე მეტია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა შეადგენს 25 ერთეულს,(მერის მრჩეველი 1, მერის თანაშემწე 2, კონსულტანტი 4, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი 1, ფსიქოლოგი 1, კომპიუტერული სისტემის და ქსელების სპეციალისტი 1, დამხმარე სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში 1, მერის მდივანი 1, მერის მძღოლი 1, მძღოლი 1, დამლაგებელი 5, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის - კოორდინატორი 1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის - კოორდინატორის ასისტენტი 1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის - ფინანსური მენეჯერი 1, შავი

ზღვის აუზის NEXT პროგრამის - პიარ მენეჯერი 1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის - ტექნიკური მენეჯერი 1, შავი ზღვის აუზის NEXT პროგრამის - ტექნიკური მენეჯერის ასისტენტი 1, რაც სცილდება ზემოთ აღნიშნული კანონმდებლობის მიერ დაწესებულ შეზღუდვებს. იმის გათვალისწინებით, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას სურს გაუგრძელოს ხელშეკრულებები ზემოთ ხსენებულ პოზიციებზე დასაქმებულ პირებს, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ'' საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ერთი წლის ვადით გთხოვთ, თანხმობას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნობასთან დაკავშირებული შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე.

გთხოვთ, განიხილოთ.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი